

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ვილანუს ბალტიკი"
(ს/კ 400099415)

შინაარსი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა.....	3
ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	4
ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	7
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	7
5. მარაგები	7
6. სხვა მიმდინარე აქტივები	8
7. ძირითადი საშუალებები	8
8. არამატერიალური აქტივები	9
9. ფინანსური ვალდებულებები.....	10
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10
11. კაპიტალი	11
12. ამონაგების აღიარება.....	11
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	12
14. მიწოდების დანახარჯები	12
15. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები.....	12
16. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა.....	12
17. სხვა ხარჯები.....	13
18. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები.....	13
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	14
20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.....	14
21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	14

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	66 823	180 934
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	276 922	236 678
მარაგები	5	1 338 310	1 045 507
სხვა მიმდინარე აქტივები	6	28 267	22 152
		1 710 322	1 485 271
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	37 995	55 542
არამატერიალური აქტივები	8	785	971
		38 779	56 513
მთლიანი აქტივები		1 749 102	1 541 784
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	271 047	156 641
საგაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1 203 169	1 229 400
გადასახდელი პროცენტი		26 343	26 343
დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება	15	19 500	16 600
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3 737	679
		1 523 796	1 429 664
ვალდებულებები			
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	5 000	5 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		220 306	107 120
		225 306	112 120
მთლიანი ვალდებულებები		1 523 796	1 429 664
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 749 102	1 541 784

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

მარიუს ბუიოკას
შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები	12	2 730 492	3 716 561
თვითღირებულება		(2 145 045)	(3 060 585)
საერთო მოგება		585 447	655 976
სხვა შემოსავლები		-	575
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(110 314)	(131 189)
მიწოდების დანახარჯები	14	(32 701)	(21 041)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი	15	(271 246)	(296 072)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(8 829)	(7 313)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16	(32 373)	180 935
სხვა ხარჯები	17	(5 375)	(961)
საოპერაციო მოგება		124 609	380 910
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	10	(11 423)	(9 812)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(11 423)	(9 812)
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		113 186	371 098
მთლიანი სრული შემოსავალი		113 186	371 098

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

მარიუს ბუიკას

შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	5 000	107 120	112 120
წმინდა მოგება	-	113 186	113 186
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	5 000	220 306	225 306
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	5 000	220 306	225 306

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

მარიუს ბუიოკას

შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	66 823	180 934
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	276 922	236 678
მარაგები	5	1 338 310	1 045 507
სხვა მიმდინარე აქტივები	6	28 267	22 152
		1 710 322	1 485 271
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	37 995	55 542
არამატერიალური აქტივები	8	785	971
		38 779	56 513
მთლიანი აქტივები		1 749 102	1 541 784
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	271 047	156 641
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1 203 169	1 229 400
გადასახდელი პროცენტი		26 343	26 343
დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება	15	19 500	16 600
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3 737	679
		1 523 796	1 429 664
ვალდებულებები მთლიანი კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		5 000	5 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		220 306	107 120
		225 306	112 120
მთლიანი ვალდებულებები		1 523 796	1 429 664
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1 749 102	1 541 784

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

.....
მარიუს ბუიოკას

შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები	12	2 730 492	3 716 561
თვითღირებულება		(2 145 045)	(3 060 585)
საერთო მოგება		585 447	655 976
სხვა შემოსავლები		-	575
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(110 314)	(131 189)
მიწოდების დანახარჯები	14	(32 701)	(21 041)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი	15	(271 246)	(296 072)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(8 829)	(7 313)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16	(32 373)	180 935
სხვა ხარჯები	17	(5 375)	(961)
საოპერაციო მოგება		124 609	380 910
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი	10	(11 423)	(9 812)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(11 423)	(9 812)
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		113 186	371 098
მთლიანი სრული შემოსავალი		113 186	371 098

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

.....

მარიუს ბუიოკას

შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	5 000	107 120	112 120
წმინდა მოგება	-	113 186	113 186
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	5 000	220 306	225 306
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	5 000	220 306	225 306

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს სახელით 2024 წლის 18 სექტემბერს

.....

მარიუს ბუიოკას

შპს "ვილანუს ბალტიკი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ვილანუს ბალტიკი" (შემდგომში „კომპანია“) არის 2013 წლის 09 სექტემბერს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანი-ნამალაძევის რაიონი, თ. ერისთავის ქ. №1, ხოლო მისი ფაქტობრივ მისამართია თბილისი ისანი-სამგორი კახეთის გზატკეცილი 16 კმ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით და საკუთნოებით. კომპანიის დასახელება 2024 წლის 27 ივნისამდე გახლდათ შპს "VILLANUS BALTIC ვილანუს ბალტიკი", ამ თარიღიდან მოყოლებული კომპანიის დასახელებაა შპს "ვილანუს ბალტიკი".

კომპანიას ყავს სამი მეწილე 25%, 35% და 40%-ის მფლობელი ფიზიკური პირები რამუნას კინას, მარიუს ბუიოკას და იონას იგნატავიჩუს. კომპანიის დირექტორია მარიუს ბუიოკას.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანია იყენებს გამონაკლის შემთხვევას და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
ნაღდი ფული სალაროში	6 269	5 553
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	58 243	37 667
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 310	137 715
	66 823	180 934

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	275 651	230 780
გადახდილი ავანსები	1 271	3 942
მოთხოვნები სანარმოს პერსონალის მიმართ	-	1 956
სულ	276 922	236 678

5. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ გასაყიდად საჭირო მარაგს, ასევე სახარჯ მასალას რომელიც მისი საქმიანობის პროცესში იხარჯება.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
მზა პროდუქცია	1 338 148	1 041 568
სხვა მარაგი	162	3 939
სულ	1 338 310	1 045 507

6. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ძირითადად საგადასახადო ორგანოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
საგადასახადო აქტივი	28 267	22 152
სულ	28 267	22 152

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღდგენისათვის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 5-10 წელი

- სატრანსპორტო საშუალებები 10-15 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-10 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და სხვა მცირეფასიანი ინვენტარი 5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა მცირეფასიანი ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2022	3 263	44 822	25 442	13 678	87 205
შემოსვლა/რემონტი	-	-	3 158	670	3 829
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა	-	(10 700)	(1 270)	(2 719)	(14 689)
31 დეკემბერი 2023	3 263	34 122	27 330	11 630	76 345
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2022	(191)	(15 709)	(10 611)	(5 153)	(31 663)
პერიოდის ცვეთა	(326)	(3 804)	(3 036)	(1 564)	(8 730)
გასვლა	-	223	155	1 665	2 044
31 დეკემბერი 2023	(516)	(19 290)	(13 491)	(5 052)	(38 350)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2022	3 072	29 113	14 831	8 525	55 542
31 დეკემბერი 2023	2 746	14 832	13 839	6 577	37 995

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა, შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულება განაწილებულია მათ სასარგებლო მომსახურების ვადებზე, ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მფლობელობაში არსებული არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამებს.

	საბუღალტრო პროგრამები	სულ
31 დეკემბერი 2022	2,137	2,137
შემოსვლა	-	-
გასვლა	(654)	(654)
31 დეკემბერი 2023	1,483	1,483
ცვეთა და გაუფასურება		

31 დეკემბერი 2022	(1,166)	(1,166)
პერიოდის ამორტიზაცია	(99)	(99)
გასვლა	566	566
31 დეკემბერი 2023	(699)	(699)
წმინდა საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2022	971	971
31 დეკემბერი 2023	785	785

9. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

2023 წლის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა ბანკიდან მოკლევადიანი სესხი და სხვა სესხი, რომელიც დაფარვადია მოთხოვნისთანავე.

1. 2022 წლის 12 აპრილს ბანკისგან აღებული სესხი, რომელიც დენომინირებულია ლარში 70 000 ლარის ოდენობით, სესხის ხანგრძლივობა 12 თვე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 21.94%;
 2. 2023 წლის 7 აპრილს ბანკისგან აღებული სესხი, რომელიც დენომინირებულია ლარში 70 000 ლარის ოდენობით, სესხის ხანგრძლივობა 12 თვე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 21.90%;
 3. 2023 წლის 23 დეკემბერს ბანკისგან აღებული სესხი, რომელიც დენომინირებულია ლარში 100 000 ლარის ოდენობით, სესხის ხანგრძლივობა 12 თვე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 18.20%;
- სესხი აღებულია კომპანიის მიერ საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. კომპანიის მიერ წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარება დარიცხვის მეთოდით მოხდა მომდევნო საანგარიშგებო.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
სავაჭრო ვალდებულებები	1 178 857	1 155 166
მიღებული ავანსები	24 312	74 234
სულ	1 203 169	1 229 400

11. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5,000 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. 2022 და 2023 წლებში არ მომხდარა დივიდენდის განაწილება.

12. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/გაეწევა მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

	31.12.2023წ.	31.12.2022წ.
საქონლის გაყიდვებიდან	2 729 724	3 714 216
მომსახურების განწევრიდან	768	2 345
სულ	2 730 492	3 716 561

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023წ.	2022წ.
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	9 084	453
საიტარო ქირა	45 527	58 063
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯები	4 715	5 990
მიმდინარე რემონტის ხარჯი	4 294	9 910
ბანკის საკომისიო	7 974	11 114
ქონების დაზღვევის ხარჯი	726	1 368
მივლინების ხარჯი	19 222	19 203
საკონსულტაციო მომსახურება	10 250	10 500
საგამოფენო ხარჯი	-	5 385
სხვა საერთო ხარჯი	8 523	9 203
სულ	110 314	131 189

14. მიწოდების დანახარჯები

	2023წ.	2022წ.
რეკლამის ხარჯები	9 944	10 326
მონტაჟის ხარჯები	5 396	-
მიწოდების სხვა ხარჯები	17 361	10 715
სულ	32 701	21 041

15. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

16. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

	2023წ.	2022წ.
ძირითადი საშუალების რეალიზაციის შედეგად მიღებული ზარალი	(17 746)	(7 146)
საკურსო ზარალი	(36 303)	(28 641)
საკურსო მოგება	21 676	216 722
სულ	(32 373)	180 935

17. სხვა ხარჯები

	2023წ.	2022წ.
ქონების გადასახადის ხარჯი	468	487
სხვა საგადასახადო ხარჯი	4 461	-
ტარიმები	61	54
მოგების გადასახადი	384	420
სულ	5 375	961

18. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით განაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივების თანახმად, მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ს მთლიანი კარის ცვლილება, რომლის თანახმად დაიხვეწა ტერმინოლოგია და მოვიდა ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში გარკვეულწილად. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევა 2021 წლის იანვრის თვიდან.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023წ.	2022წ.
უმადლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მთლიანად	184,311	84,375
სულ	184,311	84,375

20. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებითი შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.